ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3467100

ნომერი: AR1529922

თარიღი : 09.08.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 11.08.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N37-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , მოედანი ვარდების რევოლუცია , (ნაკვ.01/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნიკოლოზ სხირტლაძე პ/ნ 01008014126
- თბილისი, ქუთათელაძის #2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 9 აგვისტოს N AR1529922 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N37-ის მიმდებარედ/ვარდების რევოლუციის მოედანზე (ნაკვ. 01/007), სამშენებლო ღობის მოწყობაზე, როგორც I კლასის სამუშაოებზე, წერილობითი თანხმობის გაცემას. გაცნობებთ, რომ სამუშაოები, რომლის განხორციელებაზეც ითხოვთ I კლასის წერილობითი თანხმობის გაცემას, გათვალისწინებული უნდა იყოს 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად შედგენილ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტში და არ შეესაბამება I კლასს დაქვემდებარებულ შენობა–ნაგებობებს, შესაბამისად სამსახური თქვენს მოთხოვნას I კლასის სამუშაოებზე წერილობითი თანხმობის გაცემის შესახებ ვერ დააკმაყოფილებს. დამკვეთი ვალდებულია იქონიოს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე და მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს. რაც შეეხება ავეჯისა და სხვა აქსესუარების ასაზიდად თქვენს საკადასტრო ერთეულში ამწე საშუალების განთავსებას, საკითხის განხილვა სცდება სამსახურის კომპეტენციის ფარგლებს.
ამასთან გაცნობებთ, რომ დაჩქარებული მომსახურებისთვის გადახდილი საფასურის დაბრუნების მიზნით განაცხადი შესაძლებელია დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში: ელექტრონული განაცხადები > საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა > სერვისებზე/მოსაკრებლებზე გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.